



2011 წლის ანგარიში

2011 წელს დასახული სტრატეგიის ფარგლებში, განხორციელა შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. განახლდა და შემუშავდა სასწავლო პროგრამები (20 სასწავლო პროგრამა);
2. შემუშავდა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა „უნივერსალური ოფიცერი“;
3. დაინერგა სწავლების ახალი სტანდარტები, რაც აერთიანებს მსმენელთა ოთხი კომპონენტით გადამზადებას: თეორია, პრაქტიკა, ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება;
4. შემუშავდა შეფასების ახალი სისტემა: ჩათვლები ფიზიკურ ნორმატივებსა და ტაქტიკურ მომზადებაში, ქულების დაგროვების სამკომპონენტო სისტემა - დასწრება, შუალედური გამოკითხვა და ტესტირება, ასევე შესწავლილი მასალის პრაქტიკული გამოყენების შეფასების მიზნით, დაინერგა პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში;
5. შეიქმნა ტესტირების ელექტრონული პროგრამა და მსმენელთა ტესტირება ხორციელდება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, პროგრამის მეშვეობით იქმნება მონაცემთა ელექტრონული ბაზები მსმენელების შესახებ;
6. ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული “დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ. სასამართლო რეფორმის, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის” პროექტის ფარგლებში შეიქმნა „სასჯელაღსრულებისა და პრიობაციის სასწავლო ცენტრის 2012-2015 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფი;
7. საფრანგეთის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის ეროვნულ სკოლასთან (ENAP) გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სასწავლო ცენტრში სტაჟირება გაიარა საფრანგეთის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორობის ორმა კანდიდატმა;

ურთიერთობები დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

1. განხორციელდა თანხების მოზიდვა შემდეგი დონორი ორგანიზაციებისაგან: ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG),



საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF);

2. გრძელდება 2010 წელს დაწყებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სასწავლო ცენტრის ქმედუნარიანობის განვითარება“;
3. გრძელდება თანამშრომლობა ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული „დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წწ. სასამართლო რეფორმის, ადამიანის და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის“ პროექტთან;
8. დასრულდა თანამშრომლობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „კანონის უზენაესობის ხელშეწყობის პროექტთან“.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

1. სასწავლო ცენტრი გახდა სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპული ქსელის (EPTA) წევრი;
2. გაფორმდა სამწლიანი თანამშრომლობის მემორანდუმი სასწავლო ცენტრსა და სომხეთის იუსტიციის სამინისტროს სამართლის ინსტიტუტს შორის.

ვიზიტები

გამოცდილების გაზიარების მიზნით განხორციელდა შემდეგი მოკლევადიანი სამუშაო ვიზიტები:

- სასწავლო ცენტრის 9 ტრენერის ვიზიტი საფრანგეთის პენიტენციური ადმინისტრაციის ეროვნულ სკოლაში (ENAP) ;
- სასწავლო ცენტრის მართვის სამსახურის უფროსის ვიზიტი გერმანიაში;
- სასწავლო ნაწილის უფროსის ვიზიტი ჩეხეთში პრობაციის სასწავლო ცენტრში;
- სასწავლო ცენტრის დირექტორის ვიზიტი შოტლანდიის სასწავლო ცენტრში;
- სასწავლო ცენტრის 5 თანამშრომლის ვიზიტი ჰოლანდიის სასწავლო ცენტრში;
- სასწავლო ცენტრის 2 თანამშრომლის ვიზიტი სომხეთის სასწავლო ცენტრში.

საგამომცემლო საქმიანობა

გამოიცა სამი სახელმძღვანელო:

- “სახელმძღვანელო პენიტენციური სისტემის მართვის შესახებ“;
- ”არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები “;



- „სასწავლო მასალები არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში მომუშავე სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისათვის“;

გამოსაცემად მომზადდა „პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენინგებისათვის“.

ტრენინგები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომელთათვის

1. „მედიასთან ურთიერთობის კომპეტენცია“ - მონაწილეობდა 26 თანამშრომელი;
2. „პრევენტაციის უნარ-ჩვევები“ - 20 მოსამსახურე;
3. „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“ – 15 თანამშრომელი.

ტრენინგები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის

1. გამოსაცემად ვადით დანიშნულ თანამშრომელთა ტრენინგში „პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამის“ მიხედვით სერტიფიცირებულია 131 თანამშრომელი, ტესტირება ვერ გაიარა 24-მა თანამშრომელმა;
2. „პატიმრობის კოდექსის სასწავლო პროგრამა“ - სერტიფიცირებულია 181 თანამშრომელი, ტესტირება ვერ გაიარა 48 მონაწილემ;
3. გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა „უნივერსალური ოფიცერი“- მონაწილეობდა სისტემის 17 თანამშრომელი;
4. ტრენინგი „ადმინისტრაციული პატიმრობის სასწავლო პროგრამის“ მიხედვით განხორციელდა 107 თანამშრომლისათვის;
5. „გასაჩივრების პროცედურების სასწავლო პროგრამა“ - მონაწილეობდა 20 მოსამსახურე;
6. „მსჯავრდებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სასწავლო პროგრამის“ მიხედვით მომზადება გაიარა 111-მა თანამშრომელმა;
7. „ეროვნული პრევენციის მექანიზმის სასწავლო პროგრამა“ - მონაწილეობდა 82 მოსამსახურე;
8. განხორციელდა სასჯელაღსრულების სისტემის საზოგადოებრივი კონსულტანტის თანამდებობაზე კონკურსის წესით შერჩეულ თანამშრომელთა ტრენინგი (10 მონაწილე);
9. 10-მა საზოგადოებრივმა კონსულტანტმა გაიარა გადამზადება „ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზების, სპეციალური დოკუმენტაციის წარმოების, საზოგადოებრივი მისაღების ელექტრონულ პროგრამასთან მუშაობისა და „სერვის პლუსის“ სასწავლო პროგრამის“ მიხედვით;



10. განხორციელდა ტრენინგი სოციალურ მუშაკებისათვის (6 მონაწილე);
11. ჩატარდა ტრენინგი „ბავშვთა უფლებების, რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის შესახებ“ 6 თანამშრომლისათვის;
12. მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: „მიუსჯელ არასრულწლოვანთა განათლება და ზოგადი მიდგომის გაუმჯობესება“ (18 მონაწილე);
13. ჩატარდა ტრენინგი ფოსტის 15 თანამშრომლისათვის სასჯელადსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ კვების პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების ამანათის სახით მიღების წესის შესახებ.

ტრენინგები პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთათვის

1. „სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სასწავლო პროგრამის“ მიხედვით მომზადებულია 79 მოსამსახურე;
2. ტრენინგი თემაზე: „ბავშვთა უფლებები, რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა“ გაიარა 20-მა თანამშრომელმა;
3. განხორციელდა ტრენინგები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, განრიდების კონცეფციის, არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა მართლმსაჯულებისა და რისკისა და საჭიროებების შეფასების თემაზე 118 მონაწილისათვის;
4. „პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების სასწავლო პროგრამის“ მიხედვით ორგანიზებულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 15-მა თანამშრომელმა;
5. „რისკისა და საჭიროებების შეფასების, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესებისა და ინტერვიუების სასწავლო პროგრამის“ მიხედვით სწავლება გაიარა 115-მა მონაწილემ;
6. განხორციელდა ტრენინგი თემაზე: „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებისა და აღსრულების სტანდარტები და მექანიზმები საქართველოში“. მომზადებულია 67 ოფიცერი;
7. სწავლება თემაზე „პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულებთან მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით“ გაიარა 50 ოფიცერმა;
8. განხორციელდა პირობით მსჯავრდებულთა ტრენინგი საოფისე კომპიუტერული პროგრამებისა და უცხო ენების შესწავლასთან დაკავშირებით (13 მონაწილე).



ტრენერთა ტრენინგები

1. ტრენერთა ტრენინგი თემაზე: “პატიმრობის ევროპული სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით“ გაიარა სასწავლო ცენტრის 18-მა ტრენერმა;
2. ტრენერთა ტრენინგი ტაქტიკურ მომზადებაში გაიარა სასწავლო ცენტრის 11-მა ტრენერმა;
3. ტრენერთა ტრენინგში თემაზე „ფსიქიკური ჯანმრთელობის ინფორმირება და ძალის მინიმალური გამოყენება“ მონაწილეობდა 6 ტრენერი;
4. ტრენერთა ტრენინგი „პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით“ გაიარა 11 - მა ტრენერმა;
5. განხორციელდა ტრენინგი „საგანმანათლებლო პროგრამების აგება ინტერაქტიული მეთოდების შესწავლას საფუძველზე“ სასწავლო ცენტრის 21 ტრენერისათვის;
6. „საქართველოს და სომხეთის სასწავლო დაწესებულებათა ტრენერების პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში განხორციელდა ერთობლივი ტრენინგი 10 ქართველი და 10 სომეხი ტრენერის მონაწილეობით.

2011 წელს სასწავლო ცენტრმა სხვადასხვა სასწავლო პროგრამების მიხედვით გადაამზადა სამინისტროს 61, სასჯელაღსრულების სისტემის 753 და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 464 მოსამსახურე. სხვადასხვა პროგრამების მიხედვით მომზადება გაიარა სასწავლო ცენტრის 77-მა ტრენერმა.

დანართი: სტატისტიკური მონაცემები გრაფიკულად „6“ (ექვს) ფურცლად.



ცხრილი №1. ტრენინგები სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს თანამშრომელთათვის

„მედიასთან ურთიერთობის კომპეტენცია“	„პრეზენტაციის უნარ-ჩვევები“	„ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“	ჯამი
26	20	15	61



ცხრილი №2. ტრენინგები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთათვის

ტრენინგი	მონაწილე
პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამა	155
„პატიმრობის კოდექსი“	229
„უნივერსალური ოფიცერი“	17
გასაჩივრების პროცედურების სასწავლო პროგრამა	20
ადმინისტრაციული პატიმრობის სასწავლო პროგრამა	107
მსჯავრდებულთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სასწავლო პროგრამა	111
სასწავლო პროგრამა ეროვნული პრევენციის მექანიზმის შესახებ	82
„საზოგადოებრივი კონსულტანტი“	10
ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზების, სპეციალური დოკუმენტაციის წარმოების, საზოგადოებრივი მისაღების ელექტრონულ პროგრამასთან მუშობისა და „სერვის პლუსის“ სასწავლო პროგრამა	10
სოციალური მუშაკების ტრენინგი	6
„ბავშვთა უფლებები, რისკისა და საჭიროებების შეფასება და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა“	6
სულ:	753

ტესტირება ვერ გაიარა:

- „პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამა“ – 24 თანამშრომელი
- „სასწავლო პროგრამა „პატიმრობის კოდექსის“ შესახებ“ – 48 თანამშრომელი

ცხრილი №3. ტრენინგები პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთათვის

სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სასწავლო პროგრამა	ბავშვთა უფლებები, რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა	„საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, განრიდების კონცეფცია, არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა მართლმსაჯულება და რისკისა და საჭიროებების შეფასება“	პრობაციონერებთან ინდივიდუალური მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების სასწავლო პროგრამა	რისკისა და საჭიროებების შეფასება, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესება და ინტერვიუების სასწავლო პროგრამა	საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებისა და აღსრულების სტანდარტები და მექანიზმები საქართველოში	„პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე გათავისუფლებულებთან მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით“	ჯამი:
79	20	118	15	115	67	50	464

ცხრილი №4. ტრენერთა ტრენინგი

<p>“პატიმრობის ევროპული სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით“</p>	<p>ტრენერთა ტრენინგი ტექტიკურ მომზადებაში</p>	<p>„ფსიქიკური ჯანმრთელობის ინფორმირება და ძალის მინიმალური გამოყენება“</p>	<p>„საგანმანათლებლო პროგრამების აგება ინტერაქტიული მეთოდების შესწავლას საფუძველზე“</p>	<p>„საქართველოს და სომხეთის სასწავლო დაწესებულებათა ტრენერების პროფესიული განვითარება“</p>	<p>„პრობაციის სამსახურის როლი პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებულთა მიმართებაში ევროპული სტანდარტების მიხედვით“</p>	<p>ჯამი</p>
<p>18</p>	<p>11</p>	<p>6</p>	<p>21</p>	<p>10</p>	<p>11</p>	<p>77</p>

ცხრილი N 5. ტრენინგებში მონაწილეთა ჯამი მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით

სამინისტრო	სასჯელაღსრულება	პრობაცია	ტრენერთა ტრენინგი	ჯამი
61	753	464	77	1 355



ცხრილი №6. 2011 წელს მიღებული საგრანტო დაფინანსებები

	დონორი	პროექტი	თანხა
1.	ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში	„სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“	340 410 ლარი
2.	საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ)	გრძელვადიანი სასწავლო პროექტი - „უნივერსალური ოფიცერი“	47 981 ლარი
		„საქართველოსა და სომხეთის სასწავლო დაწესებულებათა პროფესიული განვითარების პროექტი“	18 396 ლარი
3.	ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG)	„სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროგრამების განხილვა“	10 239 ლარი
		„სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ქმედუნარიანობის განვითარება“	20 040 ლარი
4.	გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)	„სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ქმედუნარიანობის განვითარება“	8 530 ლარი
	სულ:		445 596 ლარი